საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030142644050619

№ 01-441/ო **30 / დეკემბერი / 2019 წ.**

სეზონური გრიპის შემთხვევათა სწორი მართვის, შესაბამისი მკურნალობის უზრუნველყოფისა და პაციენტთათვის ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, 75-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, სეზონური გრიპის შემთხვევათა სწორი მართვის, შესაბამისი მკურნალობის უზრუნველყოფისა და პაციენტთათვის ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს „მორიგე“ რეჟიმში მომუშავე დაწესებულებები (შემდგომში - დაწესებულებები):

ა) შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“ (ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N57);

ბ) შპს „მედკაპიტალი“ - გლდანის ფილიალი (ქ. თბილისი, გლდანი, გამარჯვების ქ. 1 (ი. ვეკუას ქ. 18));

გ) შპს „მედკაპიტალი“ - ვარკეთილის ფილიალი (ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზ. 4 კვ. 3 კორპ.).

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა დაწესებულებებმა უზრუნველყონ:

ა) პაციენტთა სატელეფონო კონსულტაცია 24 საათის განმავლობაში;

ბ) სამუშაო საათების გახანგრძლივება 22:00 საათამდე (მ.შ. შაბათ დღეს 18:00 საათამდე), ამასთან, 18:00 საათიდან 22:00 საათამდე პაციენტთა ადგილზე კონსულტაცია (ვიზიტი ოჯახის ექიმთან) მ.შ. საჭიროების შემთხვევაში ბინაზე ვიზიტი, მიუხედავად პჯდ სამედიცინო დაწესებულებაში მათი რეგისტრაციის ადგილისა.

3. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ დეკემბრის თვეში გაწეული სამედიცინო სერვისების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდეს „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ასიგნებებიდან.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2019 წლის 25 დეკემბრიდან წარმოშობილ